



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/253

„ 18 „ სექტემბერი 2017 წ.

ბ ა ლ ა წ ყ ვ ე ბ ი ლ ე ბ ა

საერთო სასამართლოების ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის განვითარების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და მე-2 პუნქტის შესაბამისად, საერთო სასამართლოებში ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის გაუმჯობესების მიზნით:

1. შეიქმნას სამუშაო ჯგუფი (შემდგომში - ჯგუფი) შემდეგი შემადგენლობით:
 - ა) ნინო გვენეტაძე - საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე;
 - ბ) გიორგი მიქაუტაძე - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი;
 - გ) დიმიტრი გვრიტიშვილი - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი;
 - დ) ირაკლი შენგელია - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი;
 - ე) ვასილ მშვენერიძე - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი;
 - ვ) ნაზი ჯანეზაშვილი - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი;
 - ზ) ნინო სანდოძე - თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე;
 - თ) ალექსანდრე იაშვილი - თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე;
 - ი) ნიკოლოზ მარგველაშვილი - თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე;
 - კ) თამარ ოქროპირიძე - თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე;
 - ლ) ივანე აღნიაშვილი - თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე;
 - მ) სოსო ღურწყაია - თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე;
 - ნ) თამარ სულაქველიძე - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი;
 - ო) გიორგი პავლაძე - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;

პ) ღია მჭედლიშვილი - საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის სექტორის უფროსი;

ჟ) კახა სარალიძე - სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ინფორმატიზაციისა და კავშირგაბმულობის სამმართველოს უფროსი;

რ) გიორგი ასანიძე - თბილისის საქალაქო სასამართლოს ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერი;

ს) სოფიო წაქაძე - ევროსაბჭოს პროექტის „სასამართლო რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ უფროსი ოფიცერი;

ტ) ნინო გოგიბერიძე - ევროკავშირის პროექტის „სასამართლოს მხარდაჭერა“ სამართლებრივი მრჩეველი;

უ) ევა ონიანი - USAID-ის პროექტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ მართლმსაჯულების რეფორმის კოორდინატორი.

2. საერთო სასამართლოებში ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის გაუმჯობესების მიზნით, ჯგუფმა განახორციელოს სისტემის განვითარების პრიორიტეტების საფუძველზე მოკლევადიანი და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება, სისტემის შემდგომი პროგრამული და ტექნიკური განვითარების ხელშეწყობა და მონიტორინგი.

3. ჯგუფი უფლებამოსილია შექმნას სამუშაო ქვეჯგუფები საერთო სასამართლოების აპარატის მოხელეების, სამუშაო გეგმით გათვალისწინებული მოდულების შექმნაში/ინტეგრირებაში ჩართული სხვა სახელმწიფო უწყებების შესაბამისი მოხელეებისა და ელექტრონულ სისტემებთან მუშაობის გამოცდილების მქონე პირების მონაწილეობით. ქვეჯგუფები შესაძლოა შეიქმნას თემატური ან სპეციალიზაციის მიხედვით.

4. ჯგუფის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში პერიოდულად წარედგინება საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

5. ჯგუფმა დაკისრებული უფლებამოსილებები განახორციელოს 2018 წლის 1 ივლისამდე.

6. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

